45 (200) 8.12.2000 პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ჟანუზაბია 2000




ფილმის ნაწილი / მარსო №17

ალისა / სიმღერა

ს.ჭიაუ-რელი „წუთის-ოფელში“

ძვ.ასურ-ეთში / ესქილეს ტრილოგ.

კროუ-ფორდი / ბატონო! (ესპან.)

პოლი-ვუდის რიჩარდი

დედა-მიწა / ძვ.სომხ. ქალაქი

„წუნა და წრუწუნა“

სარეცხი ფხვნილი / ვარსკვლავს აქვს

ნითელი სიგარეტი / ჭიათუ-რაშია

45 წუთი / აფრი-კული დოლები

ტატი-ანა / წყლის ორმო

ამირ-ეჯიბი / ირანის, ლაოსის

სანქტ-პეტრბ-ურგშია

გოგონი! მთიელ-თათვის

საძო-ვარი / კომში

პარაზიტი / I ს რომი სახ.მოღ-ვაწე

მუშტი / პორტ-ვეინი

უფილტრო სიგა-რეტი / ერთობ

წლო-ვანება / ტალღა ანუ?

ასეთი დღეც არსე-ბობს

ინდოეთ. შტატი / კუმისი

სახლი (ჟარგ.)

შიკრიკი (ძვ.სიტყვა) / ჯეინ (.........)

„ABBA“-ს ქალი

რუსული საჭმელი / „ოტელ-ოშია“

თურქ-ეთის კურ-ორტი

მონას-ტერი / ამერიკის მთები

სამხედ-რო გაე-რთია-ნება

ფასი / კორეის ფული

მოხეტი-ალე მს-ახიობი

ქალაქი საფრან-გეთში

მენდ-ელეევის მეცნი-ერება

სოკო

ზოლას რომანი / 12-ივე ხმა

არეუ-ლობა

ძვ.საბე-რძნეთის მხარე

შეუჩ-ვეველი

1. ჩვენ მას თილისმას ან ავგაროზს ვუწოდებთ, ამ ცნებას სხვა სიტყვაც გამოხატავს... რა? (4). 2. ბუნებრივი ელექტროობისაგან თადასაცავი ერთ-ერთი საშუალება (3). 3. დროებითი ორგანო, რომელსაც სხვათა უნარის შეფასება ევალება (3). 4. ერთგვარი „გაწელილი“ ძაღლის ჯიში (6). 5. უძველესი ინგლისის ერთ-ერთი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი (10). 6. ვულკანისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ატრიბუტი (5). 7. სახელმწიფოებრივი ფორმის ერთ-ერთი სახესხვაობა (3). 8. ერთი და იმავე სახელის მქონე სოფლები თელავისა და საჩხერის რაიონებში (8). 9. პირველი კომუნისტური ბეჭდვითი ორგანო (5). 10. დროებით ან სამუდამოდ გარდასულ მოვლენებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი გრძნობა (5). 11. ზღვის დიდი ფრინველი (6). 12. ლექციის ან მოხსენების მოკლე ჩანაწერი (2). 13. ლექსის შემადგენელი ნაწილი (5). 14. ერთ-ერთი იმ სუბიექტთაგანი, რომელიც ნამდვილ ვაჟკაცს უნდა ჰყავდეს (2). 15. პოპულარული რუსი კინომსახიობი ქალი, ნინა... (9). 16. (ბატონი) ალდამოვი, ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში (7). 17. სანდო და ერთგული ანუ როგორი? (3). 18. გუსტავ ფლობერის მოთხრობა (8). 19. კრასნოდარის მხარეში შემავალი ავტონომიური წარმონაქმნი (5). 20. თანამედროვე კინოხელოვნების ლეგენდა... როგორც უკვე უწოდებენ მას (6). 21. ევროპის სახელმწიფო დანათლული საწვრთნელ-სავარჯიშო ინვენტარი (8). 22. ახლა ასეთებს „სკოლზკი ტიპს“ უწოდებენ... რომელი ქართული სიტყვა გამოხატავს ასეთ ცნებას? (4). 23. დაეჭვება-ვარაუდის გამომხატველი სიტყვა (2). 24. ჰოლივუდის ესპანელი ვარსკვლავი (4). 25. ის, რასაც კომპიუტერისაგან დასამარებას უწინასწარმეტყველებენ (1). 26. ავეჯის შემადგენელი ნაწილი (3). 27. მამრობითი სქესის ნამდვილი წარმომდგენლისათვის ყველაზე საშიში ოპერაცია (5). 28. თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი ქართული კროსვორდისათვის მეტად გამოსაყენებელი გვარით (8). 29. დაცვის მუშაკი (4). 30. საინფორმაციო ერთეულის სახელი ჟარგონულ-კრიმინალურ სამყაროში (5). 31. ეს სიტყვა არაბულად სახელმწიფოს ნიშნავს... ჩვენთან კი „სიუხვე-სიმდიდრის“ სინონიმად დამკვიდრდა... (4). 32. ე.წ „ზედ ტრასაზე“ განლაგებული სოფელი მცხეთის რაიონისა (6). 33. მზის სისტემის მცირე პლანეტა (8). 34. სპორტული ნავი (4). 35. უკიდურესობის გამომხატველი წინსართი (3). 36. „ცოცხალი“ თევზის მდინარე საქართველოში (4). 37. რა ეწოდებათ რიცხვებს, რომელთაც რაღაც მისტიურ-მაგიური ფუნქცია გააჩნიათ (6). 38. დასვენების დღეების წინა საღამო (5). 39. წყალზე გადასაადგილებელი ერთ-ერთი საშუალება (7). 40. ქვეყნიერების შემადგენელი ნაწილი (2).

**01-50 ქულა** - დამწყები კროსვორდისტი
**51-90 ქულა** - მეორეთანრიგოსანი
**91-130 ქულა** - პირველთანრიგოსანი
**131-170 ქულა** - ოსტატი
**171-190 ქულა** - დიდოსტატი
**191-199 ქულა** - ბრავო, მაესტრო!
**200 ქულა** - კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე*

# „ალო, ფანტაზიის“ ახალ ტურნირს თებერვალში დავიწყებთ!

## გასული ტურის პასუხები და შედეგები

სატურნირო კითხვები: 1. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი 2. ავტომანქანების ფერები. 3. სამხედრო მისალმება.

სამივე კითხვა ამოიცნეს: ზურო გონაშვილმა, მერი მამრიკიშვილმა, გია ჯვარშეიშვილმა, ბაჩანა შენგელიამ, ანდრო მჭედლიშვილმა, მერაბ წილაურმა, გიორგი გვასალიამ (მათ შორის განაწილდება 40 ლარი).

საპრემიო კითხვები: 1. ჭადრაკისთვის. 2. კოღოები კბენენ ადამიანებს და ხელს უშლიან ტყის გაჩეხვაში .

ორივე საპრემიო კითხვა ამოიცნეს: ზურო გონაშვილმა, მერი მამრიკიშვილმა, გია ჯვარშეიშვილმა, ბაჩანა შენგელიამ და მერაბ წილაურმა (მათ შორის განაწილდება 10 ლარი)

მე-11 ტურში მონაწილეობა მიიღო მოთამაშეთა სარეკორდო რაოდენობამ - 32-მა.

**25 ქულა:** გია ჯვარშეიშვილი (42,50 ლარი)

**24 ქულა:** მერი მამრიკიშვილი (25 ლარი), ნოდარ გოქაძე (13,30).

**20 ქულა:** მერაბ წიკლაური (15,50).

**19 ქულა:** ვაჟა პაპუაშვილი (2,00).

**17 ქულა:** დიანა საღრიშვილი (2 ლარი), სოფიკო დუნდუა (4,50).

**15 ქულა:** ანდრო მჭედლიშვილი (12.70). **14 ქულა:** გიორგი გვასალია (12.70) **12 ქულა:** ბაჩანა შენგელია (8,00), გია წერეთელი (10 ლარი), ნიკოლოზ წიქარიშვილი. **11 ქულა:** ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი), ნუკრი მაისურაძე. **10 ქულა**: ივანე ბერიანიძე (3,30 ლარი), თამრიკო დამენია. **9 ქულა**: მზია ღვინიაშვილი **7 ქულა**: თემურ აფციაური, ვლადიმერ ყაჯრიშვილი, კობა დალაქიშვილი. **6 ქულა:** სოსო ნიკოლაშვილი. **5 ქულა:** თიკო გაბუნია, ნადეჟდა ელიზბარაშვილი, დათო ჭილიტაშვილი. **4 ქულა:** ლევან ჩიგოგიძე. **3 ქულა**: მარინა ბერიკაშვილი, ზურო გონაშვილი (8,00). **2 ქულა**: ქეთევან მოსიაშვილი, ეკა მამალაძე, მარინა ამაშუკელი, დავით ბასილია, ნათია ჩუბინიძე. **1 ქულა**: ნუნუკა ჯღამაძე, მაკა ბუღაძე, ლია ტრაპაიძე, მადონა ხეცაძე, ირმა ბერიაშვილი, გოჩა ლობჟანიძე.

## სატურნირო კითხვები

### პირველი კითხვა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბენჯამენ დიზრაელი თამბაქოს ავადმყოფური მწეველი გახლდათ, რამაც იგი ერთ-ერთ გამოგონებამდე მიიყვანა; დღეს ეს გამოგონება ცივილიზირებულ ქვეყნებში უფრო ელიტარული წრის წარმომადგენელთა, მსახიობთა თუ ოფიციანტთა სარგებლობის საგანს წარმოადგენს... **რა არის ეს?**

### მეორე კითხვა

ჩინელები ამბობდნენ - „ეს წითელი ატმებიაო ბამბუკებში“; იაპონელები ამატებდნენ - „პეპლების ფარფატიაო ყვავილებში“. ჩვენ მას ადრე ხშირად თუ არა, საგანგებო თარიღებში მაინც ვხედავით...

**რა იგულისხმება?**

### მესამე კითხვა

მას ამზადებენ მოაზროვნენი და ახორციელებენ ბანდიტები...

**რა იგულისხმება?**

## საპრემიო კითხვები

1. გინესების რეკორდების წიგნში ყველაზე გრძელ რუსულ სიტყვად დასახელებულია “рентгеноэлектрокардиографического”. ერთმა ამერიკელმა რუსისტმა, ჩარლზ ბერი ტაუნსენდმა კი „დაამტკიცა“, რომ ყველაზე გრძელი რუსული სიტყვა გახლავთ “ГНИЛЬ”. მართალია, საამისოდ მან საკმაოდ უცნაური არგუმენტი მოიშველია, მაგრამ ეს არგუმენტი მაინც არსებობს რეალურად... **რა?**

2. თავისი სურვილით მოხვდაო საპყრობილეში ვერ ვიტყვით, მაგრამ პროფესიულმა მოვალეობებმა რომ აიძულეს მას იქ შესვლა, ფაქტია... გარკვეული დროის შემდეგ მის გათავისუფლებას ყველა ადგილობრივი თუ ზემდგომი ორგანო შეეცადა, მაგრამ ამაოდ... პატიმარი თავის საკანში დარჩა!

**ჩვენ არ გეკითხებით ამ პატიმრის ვინაობას... გვითხარით მხოლოდ ფრაზა, რომელიც ამ პატიმრის ბაგეთაგან ითქვა და გავრცელდა, როგორც ხატოვანი თქმა**




მე-12 ტური 11.XII. 18-20 სთ

უკანასკნელ მე-12 ტურშიც თამაშდება 10 ლარი სატურნირო კითხვებისათვის და 10 ლარი საპრემიოსათვის, რაც გამარჯვებულებს შორის განაწილდება; ჯეკ-პოტის შემთხვევაში კი ეს თანხა განაწილდება 2 სწორი პასუხის ავტორთა შორის.



*ფანტაზიის დიდოსტატები*


Thomas Alva Edison (11.02.1847 18.10.1931)

# თომას ალვა ედისონი

**ამერიკელებისათვის მხოლოდ გვარი ედისონი უკვე წარმატებისა და რესპექტაბელურობის მომასწავებელია. ეს არის „ამერიკული ოცნების“ ასრულება და იქ ყველას ჰგონია, რომ XX საუკუნის ყველა გამოგონების ავტორი მხოლოდ ედისონია.**

**...მაინც ვინ იყო სინამდვილეში ეს თვითნასწავლი გენია ტექნიკისა, ანგარიშიანი საქმოსანი და ენთუზიასტი, რომელიც არაფრისათვის ინანებდა ფულს?!**

## თავხედი ბიჭუნა

XIX საუკუნე: ველური დასავლეთისაკენ დაძრული ბრბოები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომი, უიტმენის საოცარი პოეზია, სოკოებივით მომრავლებული ბირჟები, ო'ჰენრისეული ენაკვიმატი არამზადები... ხმაური, მოძრაობა... და ყველაფერზე ბატონობს მისტერ კოლტი და მისტერ დოლარი!... თომას ალვა ედისონი ამ ორომტრიალში, 1847 წელს ოჰაიოს შტატის სოფელ მილანში დაიბადა, ვაჭრის ოჯახში. ისევე როგორც ტომ სოიერი, მისი ცნობილი თანამედროვე მარკ ტვენის წიგნიდან, თომას ედისონიც თავხედი და ყალთაბანდი ბიჭი იყო. ერთხელ, მრავალი წლის შემდეგ, დიდების ზენიტში მყოფ ედისონს ჰკითხეს - „თქვენ ისეთი ბიჭი ხომ არ იყავით, ნახევარი დიუმის სისქის მქონე ყუთით ყალბ კანფეტებს რომ ყიდდნენო“ და ედისონმა უპასუხა: „ჩემს ყუთებს ყოველთვის ერთი დიუმი ჰქონდაო სისქე...“

სკოლაში მას დებილად თვლიდნენ, რადგან იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კლასის წინაშე ზეპირად ეთქვა ლექსები; შემდეგ კოლბა შეარქვეს, ქიმიის ცდებით გატაცებისა გამო. ეს ცდები კი მან მშობლების მიერ ნაჩუქარი „ნორჩი ქიმიკოსის“ კომპლექტით კი არ დაიწყო, არამედ იმით, რომ ბოსტნეულის ქუჩა-ქუჩა ვაჭრობით 600 დოლარი დააგროვა. სახლის სარდაფში მან ლაბორატორია მოაწყო, სადაც ყოველ კოლბაზე დიდი ასოებით წააწერა - „შხამი“. ერთხელ მან მოისურვა იმ თეორიის შემოწმება, რომლის თანახმადაც ნივთიერებებს შუძლიათ აირებად გადაქცევისას ამა თუ იმ საგანს ფრენა დააწყებინონ. ამ ექსპერიმენტის ჩატარების იდეა თომასმა თავის საუკეთესო მეგობარს მიხაელ ოატეს გაანდო და დაარწმუნა, რომ თუ იგი ზეიდლიცის ფხვნილის დიდ დოზას მიიღებდა, მას შეეძლებოდა მცირე ხნით ცაში აფრენილიყო... იმ მეგობარმა კი მიირთვა აღნიშნული ფხვნილი, რომელიც სელტერის წყლის წარმოებაში გამოიყენებოდა, მაგრამ ცაში აფრენის ნაცვლად ძირს დაეცა და ტკივილებისაგან დაიკრუნჩხა... ამას თომასის ცემა მოჰყვა... და შემდგომშიც არაერთხელ უცემიათ თომას ალვა ედისონი...


„კოლბა“

15 წლის ედისონმა გაზეთების გაყიდვა დაიწყო, მოგვიანებით კი ყველაზე ახალგაზრდა გამომცემელი გახდა მსოფლიოში პირველი(!) სარკინიგზო გაზეთისა, რომელიც ოპერატიულად ვრცელდებოდა მთელ შუა დასავლეთში მატარებლებთან ერთად. მისმა საქმემ მოგების მოტანა დაიწყო, მაგრამ მალევე წააწყდა უსიამოვნებას. ერთხელ იმ ფელეტონის ადრეატი, რომელიც ედისონმა გაამასხრა, ყმაწვილ გამომცემელს გზაში დახვდა და მაგრად დაქექა, მაგრამ ეს არ აკმარა და ყინულივით ცივ წყალშიაც გადააგდო, როს შედეგადაც ედისონს ფილტვების ანთება დაემართა... ამის შემდეგ მან ფიცი დადო, რომ არასოდეს გაეკარებოდა პრესას.

სისტემატური განათლების უქონლობა, რამაც ედისონს საშუალება არ მისცა ფუნდამენტალური მეცნიერი გამხდარიყო, ტექნიკური და საქმოსნური საზრიანობითა და უსაზღვრო ენერგიით კომპენსირდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ თომასს ხატვის ნიჭი და საოცარი მეხსიერება ჰქონდა.

## გასაღების ვირტუოზი

ჭაბუკმა ედისონმა ტელეგრაფისტად დაიწყო მუშაობა. სამოქალაქო ომში იგი არ გაიწვიეს, რადგან ცალი ყურით საერთოდ არ ესმოდა (ერთხელ ტრამვაის კონდუქტორმა ედისონი ყურით შეათრია ვაგონში, რის შედეგადაც იგი ცალმხრივ დაყრუვდა, მაგრამ ეს მას არ უშლიდა ხელს ვიოლინოზე დაკვრაში). ასე დაიწყო თომასის წანწალი სხვადასხვა შტატში; მაშინ ტელეგრაფისტობა პრესტიჟული პროფესია გახლდათ და იგი ყველას ზემოდან დასცქეროდა, თუმცა გაამაყების სხვა საბაბიც გააჩნდა, რადგან პატარ-პატარა პიესების წერაც შეეძლო და ამით საკმაო ფულს შოულობდა.

1864 წელს ედისონმა პირველი სამსახურეობრივი გამოგონება შექმნა; ეს იყო მოწყობილობა, რის წყალობითაც ხაზზე მყოფი უფროსი ტელეგრაფისტი დარწმუნებული იყო, რომ ედისონი მუშაობს, არადა ამ დროს ამ უკანასკნელს ტკბილად ეძინა. ეს თავხედი გამომგონებელი 21 წლის რომ გახდა, ბოსტონში ჩავიდა და იქაური სატელეგრაფო კომპანია „ვესტერნ იუნიონის“ უფროსის კარი ფეხით შეაღო.

- ვინა ხარ, შე ეშმაკის კერძო?! - დაიბღავლა კომპანიის შეფმა.

- მე თომას ედისონი ვარ და აქ სამუშაოდ მოვედი! - ამაყად განაცხადა მან, რადგან იმ რეგიონში მისი სახელი უკვე ყველას სმენოდა. შეფმა მაინც მოისურვა გამოცდის ჩატარება და თომასი ნიუ-იორკის ხაზზე დასვა. ნიუ-იორკიდან კი მას ყველაზე გამოცდილი ტელეგრაფისტი დაუკავშირდა და ასე დაიწყო ოთხსაათიანი დუელი, რომლის განმავლობაშიაც ედისონი ყოველი ნახევარი საათის შემდეგ თავის მოწინააღმდეგეს ტემპის გაზრდას სთხოვდა... მერვე ტემპზე ნიუ-იორკელი ტელეგრაფისტი თომასს დანებდა!...


ბოსტონის ლაბორატორია

„ვესტერნ იუნიონში“ მუშაობისას ედისონი განაგრძობდა ქიმიურ ცდებს და საამისოდ კანტორის მეორე სართულზე ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი. ძინ! - და ბორის მჟავით სავსე ბოთლი თაროდან ვარდება, მჟავა კი უფროსის ოთახში ჟონავს... ბუნებრივია, ამგვარ ქმედებებს შედეგი მოსდევს და თომასს სამსახურიდან ათავისუფლებენ - „ჩვენ ტელეგრაფისტები გვჭირდება და არა ექსპერიმენტატორებიო!“.

...სხვათა შორის ბოსტონის „სატელეგრაფო ლაბორატორიაში“ ედისონმა კიდევ ერთი გამოგონება შექმნა: ტარაკნებისაგან შეწუხებულმა ჭაბუკმა კედელზე ორი ფირფიტა ჩამოკიდა, რომლებიც აკუმულატორის „პლიუსთან“ და „მინუსთან“ შეართა. მოკლე ჩართვა ფირფიტებს შორის ტარაკანას ფერფლად აქცევდა ხოლმე... ამ გამოგონების შესახებ ვიღაც კორესპონდენტმა ადგილობრივ გაზეთში დაწერა; ტარაკნების ელექტროდასჯის ამბის გახმაურებამ კომპანიის შეფი შეაშინა და განკარგულება გასცა, რომ მის ორგანიზაციაში ტარაკნები ამ წესით აღარ დაეხოცათ... რამოდენიმე წლის შემდეგ კი ედისონმა ტენდერი მოუგო ჯორჯ ვესტინჰაუზს და ამერიკული თემიდისათვის შექმნა ელექტროსკამი... რაზედაც სიკვდილით უამრავი ადამიანი დასაჯეს.

## რა ღირს გამოგონება?

1869 წელს ედისონი ნიუ-იორკში ჩავიდა, მას ჯიბეში გროშიც არ ედო და ასე მოხვდა საბირჟო ომების შუაგულში. მაშინ ფასები ისეთი კატასტროფული სისწრაფით იცვლებოდა, რომ ბირჟის ტელეგრაფისტები საქმეს ვერ აუდიოდნენ და აპარატურაც მალიმალ გამოდიოდა მწყობრიდან. ედისონი რომ შევიდა ბირჟის შენობაში მთავარი სატელეგრაფო აპარატი სწორედ მაშინ გაფუჭდა, ატყდა ვაი-უშველებელი და თომასმა აპარატი უმალ შეაკეთა და შედეგად ბირჟის მთავარი ტელეგრაფისტის თანამდებობაც მიიღო!

იმ ხანებში ედისონმა პირველი სერიოზული გამოგონებაც შექმნა, რაც კონგრესში ხმის დათვლის ავტომატიზირების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ეს გამოგონება უარყოფილ იქნა წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებისა გამო, რადგან ის „ძალზედ ზუსტად“ ითვლიდა ხმებს. ამ გარემოებამ მომავალი დიდი გამომგონებელი დაარწმუნა იმაში, რომ გამოგონებებში უფრო მნიშვნელოვანი ტექნიკური მხარე კი არა, მისი მომავალი მომხმარებლების გუნება-განწყობილების გათვალისწინებაა და ამას მოგვიანებით მარკეტინგი დაერქვა. მომდევნო გამოგონებამ კი ედისონს პირველი დიდი წარმატება მოუტანა. ეს იყო ახალი საბირჟო ტელეგრაფი, რის საფასურადაც იგი მისთვის ასტრონომიულ თანხას - 5 000 დოლარს - ვარაუდობდა, მაგრამ ბირჟის შეფმა სათანადოდ შეაფასა გამოგონება და მის ავტორს 40 000 დოლარი გადაუხადა. გაოგნებული ედისონი ბანკში გაიქცა ფულის გამოსატანად, იქ მას მოლარე გაეხუმრა და მთელი თანხა პატარა კუპიურებით მისცა; ის ღამე ედისონმა კუპიურების თვლასა და დახარისხებაში გაატარა, თან შიშობდა არავინ გამძარცვოსო... დილით კი, უძინარმა, ერთ მეგობარს რჩევა ჰკითხა... ასე გაიგო მან კიდევ ერთი ახალი გამოგონების - საბანკო ანაბრის - არსებობა.

(გაგრძელება იქნება)

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 4 | 3 | |
| | | 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 5 | 2 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 6 | 8 | 10 | 12 | 14 | 14 | 14 | 14 | 6 | 5 | 5 | 5 | 5 | 6 | 7 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 |
| | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 28 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 26 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 21 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 25 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 19 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**თარაზულად:** 1. თანამედროვე იაპონიის იმპერატორთა ტიტული. 4. მდინარე ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. 7. ცალკეულ ორგანიზაციათა კავშირი. 11. რა მეტსახელი ჰქონდა ვინმე არქიფოს კინოფილმ „ნერგებში“? 18. მრავალწლოვანი ბალახოვანი მინდვრის მცენარე, აქვს მეტწილად დანაკვთული ფოთლები იკეთებს მოწითალო, ან მოლურჯო იისფერ ყვავილებს. 19. დიდი ქართველი პოეტი. 20. „ქამუშაძის გასაჭირის“ მთავარი პერსონაჟი ქალი. 23. ქალაქი ესპანეთში, რომლის მახლობლადაც ფრანკისტებმა მოკლეს ფედერიკო გარსია ლორკა. 24. ანდრეი პლატონოვის რომანი. 25. სისხლის აღრევა სამედიცინო და მეცნიერულ ენაზე. 26. მრავალსართულიანი (კეთილმოწყობილი!) სახლების ასაშენებელი მოწყობილობა საბჭოთა სინამდვილეში. 31. იაპონიის ეროვნული ვალუტაც და ქალაქიც გერმანიაში. 32. პიერ ჟოზეფ პრუდონის მიერ დაარსებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უარმყოფელი საზ.-პოლიტ. მიმდინარეობა. 33. შვიდსაცოლიანი მავანი ზბრუევის სამხედრო წოდება საბჭოთა კინოში. 34. თანამედროვე ისლანდიელი მომღერალი ქალი. 38. თუ გახსოვთ ფილმი „ტერმინატორი“ არნოლდ შვარცენეგერის მონაწილეობით, მაშინ გაიხსენეთ რა ხელოვნური არსება იყო კინომსახიობის კინოპერსონაჟი. 39. ყვავილის სახელწოდებაც და აწ მწეველთა მიერ თითქმის მივიწყებული სიგარეტიც. 40. რა გვარი იყო ლიტერატურული პერსონაჟი, რომელმაც რუსეთ-თურქეთის ომებში მიიღო მონაილეობა, მთვარეზეც იმოგზაურა და... მოკლედ რა.... 45. ვინ იყო სამეფო დინასტიით რიჩარდ ლომგული? 46. სირაჯის უფრო გავრცელებული სინონიმი. 47. გრძნობა, რომელიც ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს კაცმა (მავანთა მტკიცებით). 51. რაიმე საქმიანობაში დაწინაურებული (ინიციატივის მფლობელი) პირი. 52. ავტომანქანის შემადგენელი (...და აუცილებელი) ნაწილი. 53. რა ჰქვია ქართულ კინოში ღიმილის ბიჭების გეოგრაფიის მასწავლებელს? 54. შილა ფლავის საკმაზი. 58. საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ისტ. ძეგლი. 59. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. 60. რუსეთის ბაიკალისპირა ავტონომიური წარმონაქმნის დედაქალაქი (ტირეს გარეშე). 61. მკლავმოჭრილი ხელოვანი ქართული რეალობიდან. 66. როგორია მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანი? 67. ერითროციტების შემადგენელი ნაწილი. 68. ვინ იყო, ვთქვათ, პრიმო კარნერა? (თუ არ იცით იხილეთ გასული ნომერი). 69. რა ერქვათ იტალიელებს, მხატვარ მოდილიანის და მეცნიერ ავოგადროს? 73. წარსულის უძლიერესი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 74. ქალაქის თავზე დამდგარი გამონაბოლქვი. 75. მარკო პოლოს მშობლიური ქალაქი. 76. საწვავად გამოყენებადი, ნავთობისაგან მიღებული ორგანული ნაერთი. 81. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა. 82. საქართველოს უმთავრესი ხილი. 83. ჩეხეთის საკურორტო ქალაქი. 88. სიტყვა, რომლითაც საქართველოს ისტორიაში რუსეთი და ბიზანტია მოიხსენიება. 89. ქალაქ ეკატერინბურგის ყოფილი სახელი. 90. ირანის ერთ-ერთი საექსპორტო პროდუქცია ნავთობთან და სპარსულ ხალიჩებთან ერთად. 94. ყველაზე პატარა შვილის აღმნიშვნელი სიტყვა. 95. ახლო წარსულის უძლიერესი შვედი ფეხბურთელი. 96. ჩვენი დიდებული მწერალი, ავტორი „გმირთა ვარამისა“. 97. თილისმა, ამულეტი... კიდევ რა? 101. ქალაქი საფრანგეთის რივიერაზე, სადაც წელიწადში ერთხელ მსოფლიო კინოს ელიტა იკრიბება. 102. ქალაქი პოლონეთში ვარშავის მახლობლად. 103. ფართობით ერთ-ერთი ყველაზე პატარა შტატი აშშ-ში. 104. პერსონაჟი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან. 108. ინდოჩინელთა სათაყვანებელი ყვავილი. 109. დასახლებული პუნქტი ინგლისში, რომელიც სტოქტონთან პირველად დაკავშირდა რკინიგზის ლიანდაგით. 110. რა ჰქვია ქსეროქსის აპარატიდან გამოსულ ქაღალდს? 114. რა ერქვა ამერიკელ მწერალ ქალს, ბიჩერ-სტოუს? 115. რჩეული ჯარისკაცი წარსულის ევროპის ქვეყნების არმიებში, ხელყუმბარის საუკეთესო მტყორცნელი. 116. ხმის ჩამწერი ერთ-ერთი მოწყობილობა. 121. ქალაქი ჰოლანდიაში, რომლის სახელიც დაენათლა ფიზიკაში ცნობილ ქილა-კონდენსატორს. 122. მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო, ფსევდონიმიანი წარმომადგენელი (ნამდვილი სახელი და გვარი ალფრედო კოკოცაა). 123. ნობელის პრემიის ლაურეატი გერმანელი ქიმიკოსი, ჰერმან... (1881-1965). 124. რომელი ორნითოლოგიური დანამატი გაუჩინეს ფეხბურთის მოყვარულებმა ფეხბურთის მოედანს? 129. გარდერობის (...ან ტანსაცმლის კარადის) შემადგენელი ნაწილი. 130. კუნძულ ბორნეოს მეორე სახელი. 131. ბუზისაგან გაქურდული ფრინველი ერთ ქართულ ანდაზაში. 132. XX საუკუნეში მოღვაწე რუსი პოეტი ფუტურისტი, რუსულ ენაში სიტყვა „**самолет**“-ის დამამკვიდრებელი. 136. რა დაუტოვა კაცობრიობას **ფოტოზე აღბეჭდილმა** გოგონამ? 137. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია. 138. ჩრდ. ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 139. სამხედრო ან სამოქალაქო ფორმის ტანსაცმელი. 144. თეთრი შავწინწკლებიანი ძაღლის ჯიშის სახელწოდება, გაიხსენეთ თუნდაც ამ ძაღლის ჯიშის 101 წარმომადგენლის შესახებ შექმნილი უოლტ დისნეის ქმნილება. 145. რა ჰქვია ნიდერლანდის ახლანდელ დედოფალს? 146. წვრილი შავი ნაყოფის მქონე მეტად უამური სუნის მქონე მცენარე. 151. ნახევარკუნძული კუნძულ დიდ ბრიტანეთზე. 152. ტახტიდან გადადგომა, ძალაუფლებაზე საკუთარი ნებით უარის თქმა, ანუ.... 153. ქართული ზღაპრების გმირი. 154. ლამაზი სიტყვის სახესხვაობა. 155. ვინ იყო ანდრეს სეგოვია საშემსრულებლო ამპლუით? 156. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა გიორგი ლეონიძის ლექსის ამ სტროფში:

„ღიმილის ბიჭი ვიყავი
მკერდზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა ვიყავი,
ოცი არ ...............“




**შვეულად:** 1. შტატი აშშ-ში, ახალ ინგლისად წოდებულ ტერიტორიაზე. 2. ჰოლივუდელი რეჟისორი, სახელგანთქმული „ტიტანიკის“ შემქმნელი. 3. დოდი ალფაიედის საყვარელი ქალის სახელი. 5. საერთო ევროპული ვალუტა. 6. შუა საუკუნეების ევროპელი სტუდენტების ჰიმნი. 8. რა არის ვთქვათ „ანა კარენინასთან“ მიმართებაში ფრაზა - „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“? 9. რა არსებობს თეთრი ჯეკ ლონდონის შემოქმედებაში... უფრო სწორად რომანის სათაურში? 10. ქალაქ ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობა-სასაფლაო... ღირშსშესანიშნაობა თუნდაც იმიტომ, რომ იქ ჯონ ფიტცჯერალდ კენედი განისვენებს. 12. ქვეყნის ნაწილი. 13. საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის თვე ვანდემიერსა და ფრიმერს შორის. 14. შვედი მეცნიერი და თეოსოფი-მისტიკოსი, ემანუელ... (1688-1772). 15. გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი. 16. ჩრდილოეთის ჯადოქრად წოდებული შოტლანდიელი მწერალი. 17. სადაური იყო უილიამ შექსპირისეული ვაჭარი? 21. ქართულად - მათე, რუსულად - მატფეი, ინგლისურად -....? 22. მიმდინარეობა იტალიური კინოსა და ლიტერატურის ისტორიაში XX საუკუნეში. 27. ქალაქი, საიდანაც გავიდა და აღარ დაბრუნებულა „ტიტანიკი“. 28. ელდარ რიაზანოვის ფილმების სცენარების თანაავტორი.... 29. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში სამთავიანი გოლიათი, რომელსაც ჰერაკლემ ძროხები მოჰპარა. 30. შუალედური რგოლის წარმომადგენელი ოქტომბრელსა და კომკავშირელს შორის კომუნიზმის იერარქიაში. 35. კითხვა-პასუხზე დაფუძნებული გასართობის სახესხვაობა. 36. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში. 37. ქალის (აწ უკვე ეგზოტიკური) ჩვენებური სახელი. 41. რა ეწოდება ობიექტს თბილისში, უფრო სწორედ ობიექტებს, რომლებიც მდებარეობენ „რუსთაველისა“ და „მარჯანიშვილის“ მეტროპოლიტენების სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე? 42. პროფესია კაცისა (...ან ქალისა), რომელიც სამსახურეობრივი მოვალეობისა გამო გვიძვრება პირში. 43. ყვავილი, რომელსაც შეყვარებულები საკუთარ ვნებათაღელვას აპკურებენ ფურცლების მოძრობით. 44. ძველი ათენელი სტრატეგი პელოპონესის ომის დროს. 48. ვინ ჯანყდებოდნენ ყველაზე ხშირად შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის მანძილზე? 49. ადგილი საქათმეში. 50. ევროპის ახლადწარმოწმნილი სახელმწიფო. 55. ..... ჯიგარხანიანი, საბჭოთა კინოს პოპულარული კინომსახიობი. 56. რა ჰქვია (ხსენებულ) შექსპირისეულ ვაჭარს? 57. თანამედროვე რუსული ესტრადის ერთობ ექსტრავაგანტული წარმომადგენელი მამაკაცი. 62. რა ჰქვია ჰომეროსის „ოდისეაში“ ტელემაქეს (ოდისევსის ბიჭის), მასწავლებელს? (სწორედ ამ სახელმა წარმოშვა დამრიგებლური ტონის აღმნიშვნელი სიტყვა). 63. პარიზის ერთ-ერთი რაიონი, ხელოვნების პატივისმცემლების მუდმივი თავშესაფარი. 64. რა ჰქვია მიმართვას შთამომავლებისადმი? 65. საუკუნის დასაწყისის რუსი პოლიტიკური მოღვაწე და რევოლუციონერი. 70. რა აკლია ამ ქვეყანას „როგორც ცას კიბე და ზღვას ხიდი“? 71. ვინი პუჰის ხმის პატრონი საბჭოთა მულტი პლკაციაში. 72. თანამედროვე რუსი მევიოლინე ვირტუზოი. 77. ადამიანის ზედა ყბის ძვლების ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. 78. ის, რაც ყვლაზე მეტად ფასობს ყვავილში. 79. 60-70-იანი წლების უძლიერესი ლიტველი კალათბურთელი, სსრკ ნაკრების წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი. 80. ჩვენი საქმისა და თქვენი გართობის საუკეთესო საშუალება. 84. ნახშირმჟავა მარილის ზოგადი სახელწოდება. 85. ვინ იყო თითოეული მათგანი, რომელთაც ძალიან აღელვებდათ მათს სამშობლოში ნოემბერში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნები? 86. პერსონაჟი ჟან ანუის ტრაგედიისა „ანტიგონე“. 87. ნერწყვის გამოყოფის აღმნიშვნელი სიტყვა. 91. გრამატიკული წესის დარღვევა პოეზიაში. 92. ერთ-ერთი უდიდესი ნახევარკუნძულის სახელწოდება აზიის ტერიტორიაზე. 93. „ნილსის და გარეული ბატების თავგადასავალის“ ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი პირველი ქალი მსოფლიოში. 98. ანტონიო სალიერის მიერ მოწამლული (როგორც მავანნი ამბობენ) ლეგენდაეული კომპოზიტორი. 99. ნაპოლეონის მარშალი, შემდგომში კი შვედეთის სამეფო დინასტიის დამაარსებელი. 100. დიდი ბრიტანეთის ფულის ერთეულში დაფიქსირებული სახელი. 105. ჯონ ფიტცჯერალდ კენედის მკვლელი, ლი ჰარვი.... 106. ქალაქი უკრაინაში, ლუგანსკის ოლქში... ყველაზე მაღალი ხარისხის ქვანახშირის სეხნია. 107. რა ჰქვია ჩვენში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საკრედიტო ბარათებს? 111. სამხრეთ კორეული წარმოების მსუბუქი ავტომანქანა. 112. რა ერქვა ძველ რომში ლეპიდუსის, ოქტავიანეს და მარკუს ანტონიუსის კავშირს? (ეს ამბავი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ხდებოდა). 113. (თუ გახსოვთ) რა ერქვა ხუანის ძმას ქართულად გახმოვანებულ პირველ ტელესერიალში „მამაცი გული“? 117. საქართველოს ლათინიზირებული სახელი. 118. რა ჰქვია ახლობელ ადამიანში ნეგატიური ვნებათაღელვის ჩაცხრობის პროცესს? 119. ის, რაც საღ აზროვნებასთან უმძრახად მყოფ ადამიანებს „აქვთ თავში“ ერთი ფრთიანი თბილისური გამოთქმის თანახმად. 120. ვინ იყო ბენიტო მუსოლინი? 125. პატარა სპეციალური მილი, რომელშიც ურჭობენ მოსაწევ სიგარეტს. 126. კონტურული გამოსახულება. 127. ბიბლიური პერსონაჟი. 128. ვინ გახდა მარინე გიორგი ასული ფერაძე, იგივე ჭრიჭინა, ბიბლიოთეკარის თანამდებობის შეცვლის შემდეგ? 133. ბავშვების აურზაურის და მხიარულების გამომხატველი სიტყვა. 134. XX საუკუნეში მოღვაწე რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „ორი კაპიტანი“. 135. სახელმწიფოს მიერ გაწეული ფულადი დახმარება. 140. ფერადი მინა. 141. ამ ბოლო დროს ვამპირების შესახებ გადაღებული მეტად პოპულარული ფილმი ვესლი სნაიპსის მონაწილეობით. 142. ნახევარკუნძული ეგვიპტის ტერიტორიაზე. 143. ქალაქი ლატვიაში მდინარე ლიელუპეზე. 147. ციყვების ოჯახის წარმომადგენელი მოზრდილი მღრღნელი. 148. ისააკ ნიუტონის მიერ შემოტანილი ცნება ფიზიკაში. 149. რა არის ოსტანკინოს სახელით ცნობილი ობიექტი მოსკოვში თავისი არსით? 150. საქართველოს ყველაზე ღრმა ტბა.



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბალაანი** - სოფელი ახალგორის რაიონში.
**ბალაბაკი** - სრუტე; აერთებს სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და სულუს ზღვას.
**ბალაგანი** - სახელდახელოდ მოქოხებული ხის შენობა; პრიმიტიული თეატრალური სანახაობა.
**ბალაგერი** ხოაკინ - დომინიკელთა რესპ. სახ. და პოლიტ. მოღვაწე XX ს.
**ბალაგჰატი** - ქალაქი ინდოეთში, მადჰია-პრადეშის შტატში.
**ბალადა** - ლეგენდური სიუჟეტის ლექსი.
**ბალავანისწყალი** - მდინარე გორის რ
**ბალავარი** - გათლილი ლოდი საძირკველში.
**ბალავაძე** ვახტანგ - დიდი ქარველი მოჭიდავე.
**ბალაიმი** - ქალაქი ეგვიპტეში.
**ბალაკირევი** მილი - XIX ს რუსი კომპოზიტორი.
**ბალაკლავა** - ქალაქი უკრაინაში (ხარკოვის ოლქი)
**ბალაკოვო** - ქალაქი რუსეთში (სარატოვის ოლქი)
**ბალაკრონი** - საყდე მასალა ერთგვარი.
**ბალალაიკა** - რუსული სამსიმიანი ინსტრუმენტი.
**ბალამი** აბუ ალი მუჰამედ იბნ მუჰამედ - X-XI სს სპარსული პოეზიის წარმომადგენელი.
**ბალამწარა** - ტყის ბალი.
**ბალანგარი** - კაცი მოუსმინარი (საბა)
**ბალანთა** - სოფელი ბორჯომის რ
**ბალანი** - ნადირისა და ზოგი შინაური ცხოველის ბეწვი.
**ბალანი** - სოფელი ოჩამჩირის რ
**ბალანოგლოსუსი** - ცხოველების გვარი ნაწლავნსუნთქავთა კლასისა
**ბალანსი** - შემოსავალ-გასავლის თანხათა შეფარდებითი ნუსხა.
**ბალანსირება** - წონასწორობის დაცვა.
**ბალანსირი** - ერთგვარი ბერკეტი სხვადასხვა მანქანაში.
**ბალანტე** - გვინეაში მცხოვრები ხალხი.
**ბალანტიზიადი** - ადამიანისა და ღორისა დაავადება.
**ბალანტიდიუმი** - უმარტივესი ცხოველი ნაირწამწამიანთა რიგისა.
**ბალანჩივაძე** ანდრია - ქართვ. კომპოზიტორი.
**ბალანჩივაძე** მელიტონ - ქართვ. კომპოზიტორი.
**ბალანჩინი** ჯორჯ (გიორგი ბალანჩივაძე) - XX ს ამერიკელი ბალეტმეისტერი.
**ბალაჟი** ბელა - XX ს უნგრელი მწერალი.
**ბალარატი** - ქალაქი ავსტრალიაში.
**ბალარჯი** - ცომის საფუარი.
**ბალასაღუნი** იუსუფ ჰაჯ-ჰაჯიბ - უიღური მწერალი.
**ბალასტი** - ზემეტი, უსარგებლო რამ.
**ბალატა** - სამხრეთამერიკული ტროპიკული ხე ერთგვარი.
**ბალატონი** - ტბა უნგრეთში.
**ბალატონფიურედი** - კურორტი უნგრეთში.
**ბალაშა** ბალინტ - XVI ს უნგრელი პოეტი.
**ბალაშიხა** - ქალაქი რუსეთში (მოსკოვის ლქი).
**ბალაშოვი** - ქალაქი რუსეთში (სარატოვის ოლქი).
**ბალაძეები** - სოფელი ქედის რ
**ბალახი** - დაბალი მცენარე, აქვს წვრილი მწვანე ღერო.
**ბალახბულახი** - სარეველა ბალახი
**ბალახეული** - სხვადასხვა ბალახი ერთობლივ.
**ბალახნა** - ქალაქი რუსეთში (ნიჟნი ნოვგოროდის ოლქი).
**ბალახოვანი** - ბალახის თვისების მქონე.
**ბალახტარა** - ნაჩქარევად და უხეიროდ გამკეთებელი.
**ბალახტარობა** - ნაჩქარევად და უხეიროდ კეთება.
**ბალბა** - ერთ- ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე.
**ბალბასი** - ცხვრის ჯიში.
**ბალბო** ჩეზარე - XIX ს იტალიელი პოლიტ. მოღვაწე, ისტორიკოსი და მწერალი.
**ბალბოა** - პანამის ფულის ერთეული.
**ბალბოა** - ქალაქი პანამაში.
**ბალდა** - სოფელი მარტვილის რ
**ბალდახინი** - მიცვალებულის გასასვენებელი ჩარდახანი ეტლი.
**ბალდრი** - სინათლისა და გაზაფხულის ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში.
**ბალდუნგი** ჰანს - XV-XVI სს გერმან. ფერმწერი-გრაფიკოსი.
**ბალდუსი** ბალდო - XIV ს იტალიელი იურისტი.
**ბალებისხევი** - სოფელი თიანეთის რ
**ბალერინა** - ბალეტის მსახიობი ქალი.
**ბალეტი** - სათეატრო ცეკვის ხელოვნება.
**ბალეტმაისტერი** - ბალეტის დამდგმელი რეჟისორი.
**ბალეტომანია** - ბალეტით დიდი გატაცება.
**ბალეურა** - მდინარე ონის რ
**ბალზაკი** ონორე დე - XIX ს დიდი ფრანგი მწერალი.
**ბალზაკი** ჟან ლუი გაზ დე - XVII ს ფრანგი მწერალი.
**ბალზამი** - სურნელოვანი ფისი ტროპიკულსა და სუპტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული ზოგიერთი ხისა.
**ბალზამირება** - გაქღენთა ნივთიერებებით, რომლებიც იცავენ გახრწნისაგან.
**ბალთა** - სარტყლის შესაკრავი ან სამკაული.
**ბალთასარი** - ბაბილონის უკანასაკნელი მეფის, ნაბონიდის შვილი (ძვ.წ. VI ს) .
**ბალიათა** - სოფლები ზნაურისა და ლაგოდეხის რ
**ბალი** - საშუალო სიმაღლის ნაყოფიანი ხე, გაზაფხულის ხილით.
**ბალი** - ამა თუ იმ მოვლენის (ქარის ქროლის, ზღვის ღელვის) ინტენსიურობის ციფრობრივი გამოსახულება.
**ბალი** - დიდ საცეკვაო საღამო.
**ბალი** - უღელტეხილი მესტიის რ
**ბალი** - კუნძული მცირე ზონდის კუნძულებში (ინდონეზია).
**ბალი** - ქალაქი ინდოეთში (დას. ბენგალის შტატი).
**ბალიკარტი** - ძაღლის ჭანგი ნამეტნავი.
**ბალიკპაპანი** - ქალაქი ინდონეზიაში.
**ბალინიო** კარლოს - კუბელი რევოლუციონერი.
**ბალინტი** გაბრიელ - XIX-XX სს უნგრელი ენათმეცნიერი.
**ბალისტა** - ლოდსატყორცნი მანქანა ძველად.
**ბალისტიკა** - ჭურვის მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება.
**ბალისტიტი** - უკვამლო დენთის ერთ-ერთი სახეობა.
**ბალიქესირი** - ქალაქი თურქეთში.
**ბალიში** - ბუმბულით გავსებული თავქვეშ სადები.
**ბალიჭი** - სოფელი ბოლნისის რ
**ბალკანეთი** - ევროპის ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონი.
**ბალკანისტიკა** - ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხების ენისა და კულტურის შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერება.
**ბალკანსკი** ნენკო - XX ს ბულგარელი ფერმწერი.
**ბალკონი** - 1) მაყურებელთა ადგილი თეატრში. 2) აივანი.
**ბალმონტი** კონსტანტინე - XIX-XX სს რუსი პოეტი.
**ბალნეოლოგია** - მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალურ წყლებს.
**ბალნურა** - ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი, იგივე ჩული.
**ბალონეტი** - მატერიის რეზერვუარი ჰაერისათვის, რომელიც მოთავსებულია აეროსტატის ან დირიჟაბლის გარსის შიგნით.
**ბალონი** - 1) ვიწროყელიანი დიდი ჭურჭელი მინისა. 2) ლითონის სათავსი შეკუმშული აირებისათვის.
**ბალმასედა** ხოსე მანუელ - XIX ს ჩილეს სახ. მოღვაწე.
**ბალსესი** - მდინარე მექსიკაში.
**ბალსი**-ს ხე - მსხვილი ხე ბაობაბისებრთა ოჯახისა.
**ბალსისი** ედუარდას - ლიტველი კომპოზიტორი.
**ბალტა** - ქალაქი უკრაინაში (ოდესის ოლქი).
**ბალტი** - ხალხი ჩრდ. ინდოეთსა და პაკისტანში.
**ბალტიისკი** - ქალაქი რუსეთში (კალინინგრადის ოლქი).
**ბალტიმორი** - ქალაქი აშშ-ში (მერილენდის შტატი).
**ბალტიმორი** დეივიდ - XX ს ამერიკელი ვირუსოლოგი.
**ბალტრუშაიტისი** იურგის - XIX-XX სს ლიტველი პოეტი.
**ბალტუშისი** იუოზას - XX ს ლიტველი მწერალი.
**ბალტყემალა** - ტყემლის ჯიში ერთგვარი.
**ბალუბა** - ზაირში მცხოვრები ხალხი.
**ბალუნდა** - ზაირსა და ანგოლაში მცხოვრები ხალხი.
**ბალუსტრადა** - რიკულებიანი მოაჯირი.
**ბალუხია** - კენიაში მცხოვრები ხალხი.
**ბალფური** ართურ ჯეიმზ - XIX-XX სს ინგლისის სახ. მოღვაწე.
**ბალღი** - ბავშვი.
**ბალღამი** - წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი სითხე.
**ბალღოჯი** - ველური ბლის სახეობა.
**ბალღოჯიანი** - სოფელი ყვარლის რ
**ბალყარები** - ჩრდ. კავკასიაში მცხოვრები ხალხი.
**ბალცერი** ოსვალდ მარიან - XIX-XX სს პოლონელი ისტორიკოსი.
**ბალხანები** (დიდი და პატარა) - ქედები თურქმენეთში.
**ბახაში** - ქალაქი და ტბა ყაზახეთში.
**ბალხი** აბუ ლ-მუაიდ - X ს სპარსელი პოეტი.
**ბალხი** - ნაქალაქარი ჩრდ. ავღანეთში.
**ბალხო** - სოფელი ახალქალაქის რ
**ბამაბაკი** - მხარე ისტორიულ სამხრ. საქართველოში.
**ბამაკო** - მალის დედაქალაქი.
**ბამბა** - ტექნიკური კულტურა თეთრბოჭკოვანი ნაყოფით.
**ბამბაზია** - ბამბის ბუსუსოვანი რბილი ქსოვილი.
**ბამბერგი** - ქალაქი გერმანიაში (ბავარიის მხარე).
**ბამბეული** - ბამბის სხვადასხვა ქსოვილი.
**ბამბიქულა** - ბალახოვანი მცენარე ძირიდანვე განშტოებული და თეთრი რბილი ბეწვით უხვად მოსილი.
**ბამბორა** - სოფელი გუდაუთის რ
**ბამბუკი** - ტროპიკული სარტყლის მაგარღეროიანი მერქნიანი მცენარე.
**ბამგუნდუ** - ანგოლაში მცხოვრები ხალხი.
**ბამი** (აბრევ.) - ბაიკალ-ამურის სარკინიგზო ხაზი.
**ბამი** - ერთწლოვანი მცენარე ბალბისებრთა ოჯახისა.
**ბამი** - დაბალი რეგისტრის აღმნიშვნელი ძვ. ქართული მუს. ტერმინი.
**ბამიანი** - ქალაქი ავღანეთში.
**ბამილეკე** - კამერუნში მცხოვრები ხალხი.
**ბამპერი** - ავტომობილის ბუფერი, რომელიც ამცირებს ავარიული დაჯახების ძალას.
**ბანა** - საეკლესიო-საზონდის არქიპელაგში (ინდონეზია).

(507, სულ 4829)

## „ჯორჯიან მალულა“ (შემდგომში – ჯმ) ინტერნეშნელ-კორპორეიშენი წარმოგიდგენთ



**თარაზულად**: 1. ვინ იმალება კროსვორდის უკან (სახელი და გვარი)? 10. გეომეტრიული ინვენტარი. 11. ქართველ კინორეჟისორთა დინასტიის გვარი. 12. პოლიტიკოსი, რომელიც მეფის ინტერესებს იზიარებს. 13. ჩვენი მეზობელი ქვეყნის დედაქალაქი. 14. ცხენისებრთა ოჯახის პირუტყვი, რომელიც ძირითადად შუა აზიაში ბინადრობს. 15. აკაკი ხორავას კინოროლი. 16. წონის არატრადიციული ერთეული. 19. მომგებიანი ქულა ძიუდოში. 21. XIX-XX სს შვედი მწერალი და დრამატურგი, ავტორი ცნობილი პიესისა „სიკვდილის როკვა“. 25. ქედიც და ხეობაც ახმეტის რაიონში. 26. რიჰარდ ვაგნერის ოპერა. 27. ქალაქი ფინეთში. 28. სიტყვა ან ფრაზა, რაც ამა თუ იმ ენისათვისაა დამახასიათებელი და პრაქტიკულად უთარგმნელია. 29. დასავლეთ სამოას დედაქალაქი და მთავარი პორტი. 32. პოლონელი მწერალიც და რუსი ექიმი-მოგზაურიც. 33. ინდური რელიგიური ჰიმნების კრებული. 34. სიტყვა, რომელიც ანცი და მოუსვენარი გოგონების დასახსიათებლად გამოიყენება. 36. საერთო სახელი ჩრდილოამერიკული ირმებისა. 39. სამკურნალო მცენარე. 40. მწვერვალი, რიმელიც ერნესტ ჰემინგუეიმ თავისი ერთი რომანის სათაურში მოიხსენია. 44. კაცი, რომელიც ისტორას კასრის წყალობით შემორჩა. 45. ცილინდრის ფორმის ორმხრივი დიდი დაფდაფი. 46. ამაზონაში მობინადრე მტაცებელი თევზი. 47. სომხეთის მაღალმთიანი რაიცენტრი.

**შვეულად**: 1. აშშ-ს მესამე პრეზიდენტი. 2. ფრინველი ემინ ნური გიუნთექინის გასერიალებული რომანიდან. 3. აყიყის მეცნიერულ-მინერალური სახესხვაობა. 4. სოფელი წყალტუბოს შემოგარენში. 5. „პაემანი“ - ფრანგულად. 6. ნოდარ დუმბაძის „სანიანგო“ ფსევდონიმის ნაწილი. 7 . ჰენრიკ იბსენის საყვარელი საქმიანობა. 8. სოფელი საგარეჯოს რაიონში. 9. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახელმწიფო. 17. კასპაროვის პირველი წინაპარი. 18. საბჭოთა სინამდვილის ყველაზე მაღალთანამდებობიანი მეგრულგვარიანი პიროვნება. 20. მცირე აზიის უძველესი ქალაქი. 22. წურბელებით მოვაჭრე პერსონაჟი ტოლსტოისეული „ბურატინოს თავგადასავლისა“. 23. გარკვეული საფოსტო ინვენტარის შეგროვება. 24. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. 25. XX ს ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი. 26. მხატვარი, რომელიც „უბრალო“ სტილს მისდევს. 30. ინგლისის საფეხბურთო ლიგა. 31. გერმანული ფოტოფირი. 35. ლიტერატურული ატრიბუტი“. 37. ე.წ. „ბამბუკის დათვი“. 38. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი. 41. ლენცის ფუნქციონალური კოლეგა. 42. მტაცებელი ფრინველი. 43. გრძელთმიანი ახალგაზრდა.

**თარაზულად**: 1. თოვლის ბაბუის აუცილებელი ატრიბუტი. 4. ეს მსოფლიო ჩემპიონი დაიბადა ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატოუსტში. 7. მწერი, რომელმაც კონკისტადორებს უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე ინდიელებმა. 14. დიდი მეცნიერი, რომლის სახელიც ეწოდა დაავადებას, რითაც ახლა მუჰამედ ალი და მსახიობი მაიკლ ჯ. ფოქსი არიან დაავადებულნი. 15. ნილ არმსტრონგის, მაგრამ არა იური გაგარინის სამოღვაწეო ასპარეზი. 17. დამპყრობელი, ვილჰელმ ტელის შესახებ არსებული ლეგენდის პერსონაჟი. 18. გერმანელი და ბრაზილიელი ფეხბურთელების გვარი. 19. შრე, ფენა. 23. „ყვითელი“ კონტინენტი. 24. ვინ იყო გრიმო ათოსისთვის, მუშკეტონი პორთოსისთვის, ბაზენი კი არამისისთვის. 25. ღმერთის მფარველობის ქვეშ მყოფი სუბიექტი საქართველოში. 29. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი. 30. იგი ძირითადად მოკლე ჩართვის გამო ხდება. 31. ერთგვარი მარცვლეული. 35. ცის კამარა. 36. ერთგვარი აკრობატული ილეთის გავრცელებული სახელი. 37. მას რწყილისთვის თივა უნდა მიეცა. 41. კენიის დედაქალაქი. 42. ერთგვარი ხანჯალი. 43. ჩვენი ისტ. ძეგლი. 47. ძალიან დიდი ზომის, უზარმაზარის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც წარმოიშვა ჰელიოსის ქანდაკების სახელისგან. 48. უბრალოებას მოკლებული, მომთხოვნელი და ჭირვეული. 51. ნაგვის ჭურჭელი. 52. ზღვის მოტოციკლეტი. 53. უმაღლესი კათოლიკური წოდების პირი. 57. მინერალები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ლითონის ნახშირმჟავა ნაერთებს. 58. ერთგვარი იარაღი. 61. „სპარტაკის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი. 62. XIX ს-ის რუსი მოღვაწე, უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი. 63. იტალიის ქალაქი. 66. ის, ვისაც „ვიაგრამ“ უნდა უშველოს. 67. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 68. ბიჭის მოფერებითი სახელი. 72. სამხ. ამერიკული დედაქალაქი. 73. უხამსობა ანუ რა? 76. „ზერო“ თავისი არსით. 77. საერთაშორისო პოლიცია, რომლის მთავარი ოფისიც მონაკოში მდებარეობს. 78. ქართველი კინორეჟისორი. 81. ის, რაზედაც უსვამდნენ ინდიელები შხამ კურარეს. 82. ქალაქი უკრაინაში. 83. თუნდაც ოფიციანტები რესტორნისათვის. 88. განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ადამიანს სხვებისგან განსხვავებით. 89. ფეხბურთის ინვენტარი, რომელიც მზადდება ექვსკუთხედებისა და ხუთკუთხედებისგან. 90. უალკოჰოლო სასმელი. 91. (...) სუსანინი. 92. მოვლენა, რომლის დროსაც ერთი და იმავე შემადგენლობის ნივთიერებანი მოლეკულაში შეიცავენ ერთი და იმავე ატომების ორმაგ, სამმაგ და მეტ რაოდენობას. 93. ცნობილი თეთრგვარდიელი გენერალი, რომელიც ჩვენს სასაუბრო მეტყველებაში ყველაფერ არქაულთან არის დაკავშირებული.

**შვეულად**: 1. მარსელის „ოლიმპიკის“ ცნობილი პრეზიდენტი, რომლის ზეობის დროსაც ამ კლუბმა მოიგო ჩემპიონთა თასი, შემდგომ კი დაპატიმრებული იქნა. 2. სავაჭრო პირობების შესწავლა. 3. „სამეფო“ მუსიკალური ინსტრუმენტი. 5. საბჭოთა პერიოდის სარეცხი ფხვნილი. 6. ბატონი ფეოდალური წყობილების დროს. 8. „....ქალაქში“ - ფილმი ჟან გაბენისა და ალენ დელონის მონაწილეობით. 9. ცეკვის დროს, მამაკაცების მოსახსენიებელი ზოგადი სახელი. 10. ორნაწილიანი შოკოლადი. 11. ძველეგვიპტური ღვთაება. 12. ერთადერთი მთა მსოფლიოში, რომლიდან ჩამომსვლელთა რიცხვი აჭარბებს ამსვლელთა რიცხვს ერთი ბიბლიური მიზეზის გამო. 13. იუპიტერის თანამგზავრი, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ ბინოკლის საშუალებითაც შეგვიძლია მისი ხილვა. 16. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. 20. ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟი, უდიდესი ძალ-ღონის პატრონი, ტულონის კატორღიდან გამოქცეული. 21. ელემენტარული მათ. ქმედების შედეგად მიღებული შედეგი. 22. საქონლის შემოტანა ქვეყანაში. 26. სან-ფრანცისკოს სიახლოვეს მდებარე პატარა კუნძული, სადაც წლების განმავლობაში მდებარეობდა სახელგანთქმული ფედერალური ციხე. 27. 5-ერეიანი მონეტების მოტრფიალე არსების საფრენი საშუალება. 28. ჩარლზ დიკენსის პერსონაჟი, უფლისწული. 32. ერთგვარი სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის სწრაფ ზრდას. 33. საბჭოთა ეპოქის დაწესებულებათა ერთ-ერთი აუცილებელი მუშაკი, რომელსაც ევალებოდა მშრომელებში „კომუნისტური სულის გაღვივება“. 34. ბალზაკისეული პერსონაჟი. 38. აღმოსავლური, რელიგიური ორდენი. 39. ამ უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ „ინსტიტუტი“ შეცვალა „უნივერსიტეტით“. 40. მეხსიერების მასტიმულირებელი სამედიცინო პრეპარატი.



